

„სახვითი ხელოვნების სფეროში წიგნი-ალბომების გამოცემის ხელშეწყობა“

კონკურსის პირობები:

1. კონკურსის მიზანი

ქართული კულტურის წარმოჩენა-პოპულარიზაცია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ხელოვანთა შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოცემების (წიგნი-ალბომი, კატალოგი) მხარდაჭერით, მათ შორის უპირატესად საიუბილეო გამოცემების მხარდაჭერით;

გამოცემებს ხელი შეეწყობა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ღონისძიებიდან „სახვითი ხელოვნების სფეროში წიგნი-ალბომების გამოცემის ხელშეწყობა“

2. კონკურსის პირობები

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე იურიდიულ პირს;
 - კონკურსში დაიშვება კონკურსანტის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი მხოლოდ 1 პროექტი;
 - სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარს;
 - პრიორიტეტი მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებიც ეძღვნება ქართულ კულტურაში განსაკუთრებული წვლილის მქონე ხელოვანებს და სრულფასოვნად წარმოაჩენს ხელოვანის შემოქმედებას მაღალპროფესიულ და მაღალპოლიგრაფიულ დონეზე, თანადაფინანსების მქონე პროექტებს, გამოცემის მნიშვნელობას კონკრეტული რეგიონისთვის, ქვეყნისთვის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით ქართული კულტურის წარმოჩენისთვის;
 - კონკურსში გამარჯვებულ პროექტებს გამოავლენს და რეკომენდაციებს შეიმუშავებს საკონკურსო კომისია.
-
- კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორთან ხელშეკრულების გაფორმებისას დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორება შესაბამის თანხაზე მხოლოდ საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში;

3. საკონკურსო პროექტების წარმოდგენის პირობები

- პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ შემუშავებული განაცხადის ფორმის შესაბამისად (იხილეთ თანდართულ ფაილში) და მას უნდა ერთვოდეს წერილი მინისტრის სახელზე კონკურსის დასახელების მითითებით და საკითხის მოკლე აღწერით. პროექტი და თანდართული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს CD ვერსიის სახითაც, მასზე მითითებული უნდა იყოს იურიდიული პირის სახელწოდება.
- დანართში წარმოდგენილი უნდა იყოს გამოსაცემად მომზადებული ფაილის ელექტრონული ვერსია (PDF ფაილი) ან მაკეტი, ან გამოცემის კონცეფცია პრეზენტაციის (Power Point) სახით. პრეზენტაციამ უნდა წარმოაჩინოს გამოცემის ვიზუალური მხარე, დიზაინის ნიმუშები, სავარაუდო ვიზუალური მასალის სპექტრი, ტექნიკური და საწარმოო პარამეტრები. მითითებული უნდა იყოს გამოცემის ტექნიკური მახასიათებლები (ფორმატი, ქაღალდის, ბეჭდვის, ყდისა და აკინძვის ტიპი). სავალდებულოა ბეჭდვის ხარჯების წარმოდგენა (ინვოისი 3 სტამბიდან) და წიგნის საგამომცემლო ჯგუფის წევრთა ჩამონათვალი;
- იმ შემთხვევაში, როდესაც გამოცემის ხარჯი სცდება სამინისტროს მიერ განსაზღვრულ თანხას (25000 ლარი), პროექტს უნდა ერთვოდეს თანადაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტი (საგარანტიო წერილი) იმ ორგანიზაციიდან, რომელიც უზრუნველყოფს წიგნი-ალბომის, კატალოგის გამოსაცემად მომზადების ან გამოსაცემად მომზადებული მასალის ბეჭდვის ხარჯს;
- პროექტში გამიჯნული უნდა იყოს გამოცემის ეტაპები (I ეტაპი- საბეჭდი ფაილის მომზადება , II ეტაპი - მომზადებული PDF ფაილის ბეჭდვა) წიგნი-ალბომისა თუ კატალოგის ბეჭდვაზე სამინისტრო გამოაცხადებს ტენდერს.
- გამოცემული პროდუქციის ტირაჟის განაწილება გავრცელება განისაზღვრება ხელშეკრულებით.

4. კონკურსის განრიგი

- საკონკურსო პროექტების მიღება იწყება 2017 წლის 1 მარტს;
- პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 24 მარტის 17.00 სთ.;
- საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტების განხილვა შედგება 2017 წლის 3 აპრილს
- კონკურსის შედეგები გასაჯაროვდება 2017 წლის 7 აპრილს;
- პროექტი უნდა განხორციელდეს 2017 წლის ბოლომდე;

- კონკურსზე შემოტანილი მასალა უკან არ ბრუნდება;
- პროექტი და ყველა თანდართული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;

კონსულტაციები გაიმართება ყოველ ოთხშაბათს 14:00 საათიდან 17:30 საათამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტში (ტელ: 299 90 37).